

შპს „გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი“



„ვამტკიცებ“

რექტორი, პროფესორი

გიორგი მათიაშვილი

ბრძანება № 01-01/09 “ 27 “ თებერვალი 2012 წ.

სამეცნიერო განყოფილების დებულება

დებულება

თბილისი

2012 წ.

შპს „გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი“

სამეცნიერო განყოფილების დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. შპს „გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი“ - ს (შემდგომში – უნივერსიტეტი) სამეცნიერო განყოფილება (შემდგომში – განყოფილება) წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს.
2. აღნიშნული დებულება განსაზღვრავს სამეცნიერო განყოფილების სამართლებრივ სტატუსს, ფუნქციებსა და ამოცანებს, მართვის ორგანიზაციას და სტრუქტურას, აგრეთვე სამეცნიერო განყოფილების საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა ურთიერთობებს;
3. შპს „გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი“ –ის სამეცნიერო განყოფილება თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, უნივერსიტეტის შინაგანაწესით, ამ დებულებით და უნივერსიტეტში მოქმედი სხვა წესებით.

მუხლი 2. განყოფილების საქმიანობის სფერო, ძირითადი ამოცანები და ფუნქციები

1. განყოფილების დანიშნულებაა, უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმის შესაბამისად, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ორგანიზება და გაღრმავება, ეროვნულ და უცხოურ სამეცნიერო ცენტრებთან, უმაღლეს სასწავლებლებთან კავშირების დამყარება-განვითარება.
2. განყოფილების მიზნები და ამოცანებია:
 - ა) უნივერსიტეტში ფუნდამენტური და გამოყენებითი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ორგანიზება და მონიტორინგი;
 - ბ) სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო პროცესის ინტეგრაციის ხელშეწყობა;
 - გ) სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების კრიტერიუმების შემუშავება და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსათვის დასამტკიცებლად წარდგენა;
 - დ) სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პრიორიტეტულ მიმართულებათა განსაზღვრაში მონაწილეობა;
 - ე) უნივერსიტეტის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დაგეგმვა-შესრულების პროცესის ორგანიზება და სამუშაოთა მიმდინარეობის მონიტორინგი;

- ვ) უნივერსიტეტში მიმდინარე სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანალიზი, ყოველწლიურად ამ კუთხით გაწეული მუშაობის ანგარიშის მომზადება და უნივერსიტეტის მართვის ორგანოებისათვის წარდგენა;
- ზ) პროფესორ-მასწავლებელთა, მეცნიერ-თანამშრომელთა და სტუდენტთა სამეცნიერო და სამეცნიერო-პრაქტიკული (საერთაშორისო, ადგილობრივი) კონფერენციების, დისკუსიების, სემინარებისა და სხვა ღონისძიებათა ორგანიზება-ჩატარება;
- თ) აკადემიური პერსონალის პროფესიული ზრდისა და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამების, პროექტების შემუშავება-მოძიება, მათი განხორციელების კოორდინირება და მონიტორინგი; მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტების მოწვევა, ადგილობრივი კადრების უცხოეთში სტაჟირების, გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის და ა.შ. ხელშეწყობა;
- ი) სტუდენტთა სამეცნიერო მუშაობაში ჩაბმა, შესაბამის კათედრებთან /მიმართულებებთან ერთად სტუდენტური სამეცნიერო წრეების შექმნა-განვითარების ხელშეწყობა;
- კ) დონორ ორგანიზაციებთან საქმიანი კონტაქტების დამყარება, საგრანტო კონკურსების შესახებ ინფორმაციების მოძიება და უნივერსიტეტის პერსონალის საკონსულტაციო მომსახურება საგრანტო პროექტების მომზადება-განხორციელებისათვის;
- ლ) შიდა საგრანტო კონკურსების ორგანიზება და, საჭიროების შემთხვევაში, სათანადო საექსპერტო კომისიის ჩამოყალიბება;
- მ) საგრანტო-საკონკურსო პროექტებში მონაწილე ჯგუფების საქმიანობის კოორდინირება;
- ნ) სამეცნიერო კვლევების, სახელმძღვანელოების, დამხმარე ლიტერატურის, პერიოდული რეფერირებული ჟურნალის გამოცემის ხელშეწყობა;
- ო) სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების მოსამზადებელი სამუშაოების კოორდინირება.

3. განყოფილების ფუნქციებია:

- ა) კომპეტენციის ფარგლებში საუნივერსიტეტო სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის კოორდინირება;
- ბ) უნივერსიტეტში წარდგენილი/მიმდინარე /დასრულებული პროექტების (მათ შორის საგრანტო) რეგისტრაცია და მათი შესრულების მონიტორინგი;
- გ) სამეცნიერო ფონდებთან, დონორ ორგანიზაციებთან ურთიერთობის კოორდინირება;
- დ) ეროვნულ და უცხოურ უმაღლეს სასწავლებლებთან, სხვა სამეცნიერო ცენტრებთან ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელების ხელშეწყობა;
- ე) უნივერსიტეტის მართვის ორგანოებისათვის რეკომენდაციების მომზადება უნივერსიტეტის ბიუჯეტში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დაფინანსებისათვის გამოყოფილი სახსრების სავარაუდო ოდენობისა და მათი განაწილების შესახებ;

ვ) უნივერსიტეტის მართვის ორგანოებისათვის განყოფილების საქმიანობის წლიური ანგარიშის და ყოველი კალენდარული წლის ბოლოს აკადემიური პერსონალის თვითშეფასების კითხვარის საფუძველზე შედგენილი უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანალიზის წარდგენა.

მუხლი 3. განყოფილების სტრუქტურა და ხელმძღვანელობა

1. განყოფილება წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც ითვალისწინებს განყოფილების უფროსს და მთავარ სპეციალისტს;
2. განყოფილების უფროსს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი;
3. მთავარ სპეციალისტს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი;

4. განყოფილების უფროსი:

- ა) ხელმძღვანელობს განყოფილების მუშაობას უნივერსიტეტის შინაგანაწესისა და განყოფილების დებულების საფუძველზე;
- ბ) განსაზღვრავს განყოფილების მთავარი სპეციალისტის მოვალეობებს;
- გ) ხელმძღვანელობს განყოფილების ერთწლიანი თუ მრავალწლიანი სამუშაო გეგმების შემუშავებას და მათ შესრულებას;
- დ) დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულების მიზნით, ახორციელებს კომპეტენციის ფარგლებით განსაზღვრულ უფლებამოსილებებს.

5. მთავარი სპეციალისტი:

- ა) ატარებს უნივერსიტეტის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სამუშაოთა მიმდინარეობის მონიტორინგს;
- ბ) ამზადებს უნივერსიტეტის ყოველწლიური სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის კუთხით გაწეული მუშაობის ანგარიშის მასალებს;
- გ) ახდენს სამეცნიერო და სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციების, დისკუსიების, სემინარების და სხვა ღონისძიებათა ტექნიკური საკითხების ორგანიზებას;
- დ) სისტემატურად მოიძიებს და უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს აცნობს ინფორმაციებს საერთაშორისო თუ შიდა საგრანტო კონკურსების შესახებ; ე) ასრულებს განყოფილების უფროსის მიერ მიცემულ სხვა დავალებებს.

მუხლი 4. დასკვნითი დებულებები

სამეცნიერო განყოფილების დებულებას ამტკიცებს რექტორი. მისი გაუქმება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.

მუხლი 5. რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

განყოფილების რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.